

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მღწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თუთოს წლისა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უკველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრაით

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დღე ასაღებით ასოზე—1 კაპ., ანო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდან ამ მდგომარეა წლის დამლავამდინ

## „დროება“

ღირს სა მანეთად

პირველი ღვინობისთვიდან წლის დამლავამდინ—ო რ მანეთად.

ხელის-მღწერა შეიძლება თ ფილისში: რედაქციაში, სერგივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дროება“.

## საქართველო

დღიური

\* \* \* რუსულ გაზეთს „ზოლოსში“ დაბეჭდილია:

„ზნის სამინისტროში მოლაპარაკება არის ამ ქვეყანაში ახალი რკინის გზების გაყვანის თაობაზედ. მართის მხრით უნდა გაიყვანონ რკინის გზა თფილისსა და ქვეყანს შუა და მგორეს მხრით ბათუმში უნდა შეაერთონ შოთი-თფილისის რკინის გზასთან.

„ზარდაწყვეტილია, რომ თფილისისა და ქვეყანის შემაერთებელი გზა ქვეყანის მთებზე არ გაიყვანოს, რადგან ამ გზის რიგიანად შენახვა თითქმის შეუძლებელია და ტონნელის გაყვანაც ერთობ ძნელი იქნება და ძვირადაც დაჯდება. ამის გამო ეს გზა პეტროვსკზე, ღერბენტზე და ბაქოზე უნდა გაიყვანონ. ამგვარად, რომ ამ მხრისაკენ გზის გასაყვანი აღგილები უკვე გამოკვლეული არის და მოკლე ხანში შეუდგებიან მუშაობასაო.“

\* \* \* მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინათ ერთმა ვილაც ბეჭმა საღამო ქამს გამოიხმო მებუღკის დუქნიდამ შაგირდი, ჩაჰქრა ღანა და თვითონ გაიქცა და ისე

მარჯვედ, რომ ვერ დაიჭირეს. ღაჭრილი იმ ღამესვე მოკვდა; მაგრამ მკვლელი კი დღემდინ ვერ მოენახათ.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მოკლულის ძმა ჩამოსულა ამ დღებში სამეგრელოდამ და მოუწახანეს მკვლელი, რომელიც მას აქეთ თურმე სულ თფილისში ცხოვრებდა. მხლა ის დაჭრილია და ამ საქმის თაობაზე გამოძიება გამომეძიებელს აბუღაძეს აქვს მინდობილი.

\* \* \* „დროებაში“ იყო გამოცხადებული ამ დღებში, რომ ახალი ქართული მგალობლები ჩამოუყვანიათ ბურიიდამ და ამ კვირას ეს მგალობლები სიონის სობოროში იგალობებენო. მს შეცდომით არის დაბეჭდილი; მგალობლები სიონში კი არა, ანჩისხატის სობოროში იგალობებენ, კვირას, წირვაზე და მწუხრზედ.

\* \* \* შუშიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური სამოქალაქო სასწავლებლის ზედამხედველი უფ. ნიკოლაევი ერთობ ურიგოთ და სასტიკად ექცევა შაგირდებსაო; სხვათა შორის ამბობენ, რომ თუ შაგირდს ერთი ნამცეცა საღმე დახეული აქვს ტანისამოსი, იმ წამსვე მოჰკიდებს ხელს და კისრის ცემით გააგდებს შინ, სასწავლებლიდამ ითხოვსო. ღარადგან შუშის სასწავლებელში ღარიბი ხალხი (ქართველები, თუქურმიშები და სხვ.) ბევრი არიან, ამის გამო ძალიან ბევრი ყმაწვილები ტყუილ-უბრალოთ რჩებიან უსწავლელნი და გაუბედურებულნიო.

\* \* \* თფილისის მოამბეში“ იწერებიან მუთასილდამ, რომ იქაური საქლოქო ბალი (ფერმა) ამქვეყანაში ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო; რაც ძვირფასი ხეები იყო, თითქმის სულ აჭრილია, კაცი ყურის-მგდებელი არ არის; ქალაქმა, რომელმანც ამ ბალის გასაკეთებელად ათი ათასს მანეთზე მეტი დახარჯა, ეს ბალი ახლა ჩეხს ბერტონს მისცა იჯარით თხუთმეტი თუმნადო, მაგრამ გაცეთების და მოვლის მაგიერად, ეს ბალს აუშუქებსო.

„დროების“ კორექსორდენსია

ზამო-პართლი, 8 ოქტომბერს. მოგახსენებთ წარმოებას იმ საქმისას, რომელიც ეწერა თქვენს გაზეთს „დროებაში“ № 119, 123, 124, ნომერში და რომელიც მდგომარეობს იმაში რომ ტყუილი პრისტაობა იჩემეს ალის სომხების მღვდლის მამა ძარაპეტ მხითაროვმა, ამავე მღვდლის ცოლის ძმამა საქო ლოტუემა და ამავე მღვდლის ცოლის ნათესაემა ზაალ ყიყლიჯანოვმა:

შემდეგ გამოძიებისა სურამის პოლიციის პრისტაეისა ზორის უეზდის ნაჩალნიკმა ეს საქმე გარდასცა სურამის მომრიგებელ სასამართლოს გამომეძიებელს უფ. ღრაგენეის, რომელსაც გასულს მკათათეში ჰქონდა დანიშნული გამოძიება, და ნამდვილათ დამნაშავეთ აღმოჩნდენ უფლებების მითვისებაში ზემოხსენებულნი პირნი; შემდეგ ეს საქმე გამომეძიებელმა პროკურორს გადასცა და დამნაშავე პირები თავლებ ქვეშ გამოუშვეს!

თავიანთ გასამართლებელად ეს უჩვენეს, ვითომ მცირე-წლოვნები ვართო; მაგრამ ძალიან ტყუილი შეჩინდებათ, ამიტომ რომ ყველანი სრული-წლოვნები გამოვლენ, როგორც წლოვნებს მოითხოვენ სასულიერო კანსისტორიიდა, არა ნაკლები თითო ოცდა ექვსისა და ოცდა სამის წლისა.

ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ალის სომხების მღვდელი ღვეით მხითაროვი ყიღულობდა მოწმებსა, რომელთათვისაც ესლა ფული, ზოგისთვის თხუთმეტი მანეთი, ზოგისთვისაც ათი და ხუთი მანეთი, რომ პრისტაეთან ნაჩვენები ჩვენება გადაეტქვათ. ამაზედ მოახსენა ნაბახტევის მამასახლისმა რაპორტითა ზორის უეზდის ნაჩალნიკსა. მომყავს ეს რაპორტი.

„მის ბრწყინვალებას ზორის უეზდის ჩაჩალნიკს უფალს მისთანავეს.

„სოფელს ნაბახტევის მამასახლისი ივანე პაპუაშვილისგან.

რომელაც მოგახსენე თქვენს ბრწყინვალეობას.

ყინვალებას 11-ს იენისა ამა თვისასა, რომელიც გლახებას, თქვენის ბრძანებით სურამის პოლიციის პრისტავმა მოახდინა გამოძიება და აღმოჩნდნენ იგინი დამნაშავედ მატყუარნი პირნი სამინივე.

იმ რიცხვიდან აღის სომხების მღვდელი ღვთის მხითაროვი დაიარება ღამით სოფელს შაბახტევში, და არიგებს ხალხსა გარდასტყვან თავიანთი ჩემთან მოცემული განცხადება და პრისტავთან ნაჩვენებნი ჩვენება და ჰპირდება მიცემას საფასეს, თვითუფლს ქათმაში ზოგს თხუთმეტს, ზოგს ათს და ზოგს ხუთ მანეთს:

შესაძლებელი არს რომ დაუჯერონ როგორც მღვდელს და ღარიბი გლახნი შესტოდნენ და ფულის ინტერესი გასწიონ და უცოდინარნი გლახნი მისცეს პასუხის-გებაში და ჩვენსა!...

ამისათვის ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეობას რომ აეკრძალოს მხითაროვს მღვდელსა ამნაირი ხალხის შესყიდვა შეცდომა და კანონის წინააღმდეგ ქცევები.

და ამასთანავე დამუქრებულნი არიან ჩემს მწერალზედ იგი თავდებო-ქვეშ გამოშვებულნი პირნი და იმათ მეპატრონები, რომ რაიმე უბედურობას შეამთხვიონ, რომელიც სცხოვრებს სოფელს აღში სტეფან ტერ-მეურქოვი, ამისათვის რომ რადგან ნაბახტევლებთ დაუღვიათ ამ საგანზედ განცხადება და მე თქვენს ბრწყინვალეობასთან რაპორტი...“

ნაბახტევის საზოგადოების მამასახლისი. 1878-ს წელსა, ივლისის 26-სა დღესა“.

მს რაპორტი ბორის უფლის ნაჩაღნიკმა გარდასცა გამოსაძიებლათ იმავე სურამის გამომძიებელს ღრაგნევიჩსა და, როგორც ანობდენ, ამ ღვდელსაც დასჯიანო, რადგან მღვდელს არ შეშვენის ამ ნაირი ქცევებო.

ხემა-მართლელი

# უცხო ქვეყნები

## რუმინია

24 სექტემბერს რუმინიის პალატაში ყოფილა ხანგრძლივი მოლაპარაკება ბერლინის ტრაქტატის შესახებ. ჩამდენსამე დეპუტატს შეუტანიათ წინადადება, რომ რუმინია არ უნდა დათანხმებულიყო ბერლინის პონგრესის გარდაწყვეტილებას, არ უნდა დაეთმო მთავრობას რუსეთისათვის ბესარაბიის ნაწილი და სამაგიეროთ ღობრუჯუ არ უნდა მიედოვო; და რადგან ჩვენი მაშინდელი სამინისტრო ამ შემთხვევაში სუსტად და უთაურად მოიქცა, ამის გამო გან-

კიცხვა უნდა გამოუცხადოს იმას პალატაში.

მინისტრმა პოგალნიჩანუმ ამის პასუხად სთქვა, რომ მეროპას გადაწყვეტილი ჰქონდაო რუსეთისათვის ბესარაბიის დათმობა და ამის გამო მარტო ჩვენი წინააღმდეგობით არაფერი არ გამოვიდოდაო. ამასთანავე პოგალნიჩანუ უმტკიცებს პალატას, რომ, თუქცა, მართალია, ბესარაბიის დაკარგვა სამწუხაროა ჩვენთვისო, მაგრამ ღობრუჯუ სრულეობით ისეთი ქვეყანა არარის, რომლის დაწუნება შეიძლებოდესო, და ამის გამო სთხოვდა პალატას, რომ გაათავოს ბერლინის ტრაქტატის თაობაზედ მოლაპარაკებას. პალატა დათანხმდა პოგალნიჩანუს წინადადებაზედ.

## ინგლისი

ლონდონის გაზეთებში იწერებიათ ინდოეთიდან, რომ იქაური ინგლისის მთავრობა ცდილობსო თავისკენ მოიხზროს ავგანისტანის მოსამზღვრე ხალხები, ან პირობა ჩამოართვას იმათ, რომ ნურც მძირს მოეხმარებიათ. ამ ხალხების მოსასყიდად ინგლისი დიდძალ ფულს ხარჯავსო.

გაზეთი „სტანდარ“ ამბობს სხვათა შორის, რომ ავგანისტანის მძირმა ეპისტოლე გაუგზავნა ყველა თავის მეზობელ ხალხების მთავრებს და დახმარება სთხოვა იმათ საზოგადო მტრის წინააღმდეგო; მაგრამ იმათ ეს წინადადება ცივად მიიღესო.

## ოსმალეთი

ჩვენი გაზეთში იყო ამასწინათ გამოცხადებული, რომ სტამბოლის სამხედრო სასამართლომ გარდაწყვიტა ყოველი ღირსება ჩამოერთვას არტაანის კამენდანტს და სამი წლით საპრობილეში დაიმწყვდესო, რადგან იმან არ იხმარა ყოველი ღონისძიება არტაანის ციხის დაცივისთვისაო.

„რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს ახლა, რომ ამასგარდა, სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებით ბაიაზეთის კამენდანტის ჭაიკ-ფაშისთვის ჩამოურთმევიათ აგრეთვე ყოველი ღირსება და აღაჯა-ღალის კამენდანტი კი დაუტუსალებიათ.

—ამავე გაზეთის სიტყვით, ხონთქარს დაუმტკიცებია სამხედრო სასამართლოს განჩინება, რომლის ძალითაც სიკვდილით უნდა იქმნენ დასჯილნი რამდენიმე მურთი, რომელთაც ქრისტიანების დახოცვა და წვალება ბრალდებათ.

## ნარკვი

### ქალის უღიფი

მრთს პეტერბურღის გაზეთში იყო დაბეჭდილი სიტყვა, წარმოთქმული პრალის ქალაქის რჩევის (ღუმის) წარმომა-

დგენელისაგან იმის ერთს სხვაზედ, ან რას ამბობს ის უფალი:

„შწინდელს დროში პრალის ქუჩებში იდგა მთელი ზაფხულის დღი მტერის კვამლი, რადგან მგველობი დღისით სწმენდამდნენ ქუჩებსა. მხლა ლაკი, იმ დროიდგან, როდესაც ჩვენი გამგეობამ მოახდინა განკარგულება, რომ ქუჩების დაგვა და წმენდა იყოს ხოლმე ან ღამითა და ან დღით აღრიანათ, წინანდელი დამგველები ქუჩებისა შეიცვალნენ ქალების შლიეფებათა, რომელნიცა აყენებენ ისეთს მტერსა, რომ თვით 160 დამგველთ ერთათ არ შეუძლიანთ დააყენონ იმისთანა მტერი!“

„ზოგიერთი ქალი ძუნწობს იქონიოს მომეტებული საწმენდი შინ სახმარათ; ქუჩაში კი თავის თავი შეჰყავს თავის ნებით ქუჩების დამგველის ხარისხში; არა ზოგავს არა მცირედად თავის ტანისამოსსა, თუნდ რომ იყოს ხავერდის და თუნდ აბრეშუმის.“

„ჩვენს ქუჩებში და ბაღებში მოსეირნეები იმათგან აყენებულის მტერით იღრჩობიან და ფილტვებს იფუჭებენ.“

„შე. წარმომადგენელი, რომ მისცეს თავის სიტყვებსა უფრო მომეტებული ძალა, უჩივებს ისტორიასაც, ფიზიკასაც და გიგიენასაც და რა არ მოუყვანია დასამტკიცებლად შლიეფების მანენებლობისა.“

„ძველ დროში, ამბობს ისა, შლიეფების ნება ჰქონდათ მხოლოდ დედოფლებსა; ისიც მხოლოდ დიდ დღესასწაულის დროს. მაგრამ დედოფლებს ჰქონდათ საკმაო შეძლება, რომ ჰყოლოდათ პაჟები, რომელნიც უტარებდნენ შლიეფებსა.“

„მხლანდელმა ქალებმა კი პაჟები შესცვალეს ზორნებათა, ისიც მაშინ, როდესაც ავი დარი არის.“

„ლონდონში ამ საგანზედ იყო გაცხარებული ლაპრაკი და ბაასი ქურჩალისტიკაში და მოკლეს დროში მიახწივა საქმემ იქამდისინ, რომ ვერც ერთი წესიერი დედაკაცი ველარ ჰბედავდა გამოჩინილიყო ქუჩაში შლიეფიანის ტანისამოსითა, რადგან ამ გვარი ტანისამოსი ითვლებოდა კუთვნილებად კოკოტკებისა, (ნაძრახი ქალი); მაგრამ იმათ შიაც ძალიან ამოიკვეთა.“

„ბრისტოში შლიეფების გამო ხალხმა მთელი არეულობა ასტყვა; იქამდინ მივიდა აქ საქმე, რომ მთავრობა იძულებული იყო გაეგზავნა სალდათები დასამშვიდებელათ აღელვებულის ხალხისა. ბოლოს სამოქალაქო გამგეობამ მოიფიქრა, რომ ხარჯი დაეღვა შლიეფებზედა და მით ამოეკვეთა ეს უკუნური მოღა.“

„ამერიკაში შედგა საზოგადოება წინააღმდეგ შლიეფებისა და აუკრძალეს ყველასა, ვინც კულებს ატარებდა, შესულიყო სახალხო ბაღში.“



ბოლოს ხსენებულმა დეპუტატმა დაასრულა თავისი სიტყვები მოთხოვნით, რომ სამოქალაქო მეუფროსეთა მიაქციონ ყურადღება ამ მედიდურ გემოვნებაზე პარლის ქალებისა და თუ ამან ვერ იმოქმედოს, მაშინ დაადან 20 ვულდენი ჯარიმა თვითვეულს ნაჭერზედ შლიეთისა. ეს წინადადება ყველას სიამოვნებით მიუღიათ.

რადგანაც ქართლის ქალებს გადაიდებ წნეთ აქეთ, მიჰპაძონ უცხო ქვეყნელთა ყოველ ამ გვარს საგნებში, ამისთვისა მე პრაღა მოვიყვანე მაგალითდამ იმედითა, რომ, რადგანაც თითონ უცხო ქვეყნელი ჰკიცხავენ და აიძაგებენ ამ გვარად მომქცევე ქალებს, იქნება ჩვენმა ქალებმაც ამოჰკვეთონ კაბის კუდების თრევა. და თუ იმათთან არ გაგვივიდა-რა, მაშინ იქნება ჩვენმა ქალაქის გამგეობამ, ან სხვამ უწყებამ, რომელსაც ეს შეეხება, მიიღოს ხელსამძღვანელათ პრაღის სამოქალაქო მმართველობის განკარგულებისა შესახებ შლიეფებისა, და მით დაიხსნიან ქრემები პირველად უბრალო ხარჯიდგანა და მეორეთ მართლად ხალხიც იმ კუდებით აყენებულის მტერისაგანა.

ითუ პრაღაში და საზოგადოთ მეროპის ქალაქებში სდევნიან შლიეფებს, სადაც ამასთანა სისუფთავეა ქუჩებისა, ჩვენს თფილისზე რაღა უნდა ვსთქვათ, სადაც უიმისოთაც ეიხრჩობით და ვჭლერქდებით საშინელის მტერისაგან!

მეროპის ქალებმა შეცვალეს პაყები ზორნებიოთა; ჩვენმა ქალებმა—კი შესცვალეს ორივე მარჯვენა ხელითა, რომელიც მოუშორებლათ უკიდიათ კაბის კუდებზედა; მაგრამ მაინც-და-მაინც ჩვენ პატარა ბაღში და უმისოთაც მტვერიან ქუჩებში მტვერი არა გვეცდება, საკმაოთ ვყლაპავთ.

საკვირველი ეს არის, რომ, თუ უფროთხილდებიან კაბებს და იმიტომ უჭირამთ ხელში შლიეფები, უმჯობესი არ იქნებოდა, რომ მოკლე კაბები შეიკვრონ, რომ მიწაზედ აღარ ათრიონ და მტვერში არ გასვარონ? მარამ არა, კუდების ხელით დაჭერაც მოდა ყოფილა! მინახავს ქალი, რომელსაც სცმია კაბა ზომიერის სიგრძისა და არც კალთები მიწას ეხებოდა, მაგრამ მაინც უქანა კაბის კალთა ხელში ეჭირა.

დასწყევლა ღმერთმა: ეს მოდა რას არ აქნევიანებს ადამიანს და რა მიამუნად ჰხდის!

ბულგარის მტკეპნელი

### ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 10 ოქტომბერს. ჩილიპოპოლის ქალებმა დიდი უკმაყოფილება გამოაცხადეს რუმელიის კომისიის წევრებზე: როგორც ამბობენ, ისინი ძალით

უპირებდნენ თურმე ამ კომისიის წევრების გაყრას ჩილიპოპოლიდამ. ამბობენ, რომ 2,000 დაიარაღებული ბოლგარიელები დაეცნენ ოსმალთს ჩინოენიკსაო. მაკედონიის ქალაქი სერესში ხალხის არეულობაა; ეს არეულობა ვრცელდება ახლა სალონიკის ვილაიეტშიაც და ამ, ნაირად ყველა იმ მხარეებს მოეფინება, სადა კი ბოლგარიელები ცხოვრობენ.

მენა, 11 ოქტომბერს. ღენ. ჩილიპოპოპის მაგიერათ მთავარ-სარდლად მირტემბერლის გერცოგი ინიშნება.

კაბუბურლი, 12 ოქტომბერს. დანდუკოვ—ძორსაკოვი ტელეგრაფით იწერება, რომ ის გადავიდა სოფიაში, სადაც გადატანილია აგრეთვე ცენტრალური მმართველობა ბოლგარიის სამთავროსა-აღმოსავლეთ ბოლგარიის გამგეობა მინდობილი აქვს ღენ. სტოლოპინს, რომელიც ღენერალ-ლუბერნატორსავეთ იქნება.

ძავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს ნევეროვს ებოძა თეთრიპარწივის ორდენა, ადგილობრივ ჯარის უროსს ღენ. ჯომარჯიძეს მლადიმირის მეორე ხარისხის ორდენი.

ბოგოპი, 12 ოქტომბერს. მიცე-კოროლისაგან აგვანისტანში გაგზავნილმა კაცმა სთქვა, რომ უეცრად თავდასხმა აგვანისტნისა ძალიან ძნელიაო, რადგან მირს მზათა ჰყავს 60,000 კაცი და 100 ზარბაზანი-და აგრეთვე ცხენოსანი ჯარი.

ლონდონი, 12 ოქტომბერს. პელატის ხანმა ნება მისცა ინგლისის ჯარი თავის სამფლობელოში გავლისა და დაპირდა აგრეთვე იმათთვის სურსათის შოვნა.

რომი, 11 ოქტომბერს. ბონპელი სამხედრო მინისტრად დაინიშნა.

ლონდონი, 12 ოქტომბერს. ბაზეთს „სტანდარში“ იწერებიან როვალ-პინდიდამ: სამზღვარზე დაყენებული ინგლისის ჯარები ძალიან შეწუხებული არიან ციებ-ციხვლებისაგან; პეშავარში დაყენებულის ჯარის მესამედი ბრძოლისათვის არ გამოდგება.

სტამბოლი, 12 ოქტომბერს. „თამისს“ სწერენ სტამბოლიდამ: ნამდვილი არ არის, ვითომც ოსმალეთის მთავრობამ მიიღოვო ინგლისის პროექტი მცირე აზიის რეფორმების შესახებ. პორტამ უპასუხა მხოლოთ, თავის გარდაწყვეტილებას ამ საგნის შესახებ ერთ კვირაში გამოაცხადებს. ამბობენ კი, რომ პორტა, ზოგიერთ მუხლებს გარდა, თითქმის შეუცვლელად მიიღებს ინგლისის პროექტსაო.

კაბუბურლი, 12 ოქტომბერს. უბიურის უწყებებში იწერებენ, რომ ქვეყნის 10-ს მლაგინის კუნძულზე ნახეს დამღეული გვამი თფილისის თფიკური ობსერვატორიის დირექტორის უფ. ღორონდტისა.

### კაბუბურლის ბირჟა, 11 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—12
მეორესი — — — —	95—62
მესამესი — — — —	95—50
მეოთხესი — — — —	95—50
აღმოსავლეთის — — — —	92—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—20
თფილ. თავად-ზენ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —	„ — „
შინაგანი 5%, სესხის ბილეთები:	
	მან. ძაპ.
პირველი სესხის — — —	234 — „
მეორე სესხის — — —	229 — „
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — —	24 — „ პენსი
ამსტერდამი — — —	121 — „ ცენტი
ბერლინი — — —	205 — „ ჰფენიგი
პარიჟი — — —	251—75 სანტიმი

## განცხადებანი

იხუილება

### „კრეპული“

1878 წლისა

ჭუთაისუი: კ. მესხის წიგნის მალაზიაში, კლუბს ქვეშ.  
თფილისუი: ზაქ. ჭიჭინაძის წიგნის მალაზიაში, მაშვეთის ეკკლესიის სახლში.  
შასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკე-ცალკე არ იხუილება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად. (3—1)

თფილისის რემესლენი საბრანის სტარშინეზი სთხოვენ უფალ ჩლენებს მობრძანდნენ **ობური საბრანიაში**, კვირას, 15 ოქტომბრისა, 7 საათზედ საღამოსა. ამლამესვე იქნება სემინი ვეჩერი. (3—1)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში იხუილება:

### „ნიხო“

მოთხრობა თავადი რაფიელ მარისთვისა. შასი 15 კაპიკი.

**განსაკრებელი სადგომი არის**  
ირაკლის ქუჩაზე **ბასტიონის** სახლებში, მეორე ეტაჟში: **ფილი სუთა**  
**მთახი**, სამხარეულო და ბიჭებისთვის  
ოთახები.

დაწვრილებით პირობების შეტყობა  
შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში,  
სადაც უფ. კონსტანტინე კრუჩინოვი  
დგას.

(10—3)

# ქალაქის გამომოსვან

თფილისის ქალაქის გამომოსვან ამით ახსნაღება სასოველთაოდ რომ  
მოკლადი კეზის - ურისათვის აღმოჩნდებოდა და  
გამოდელი ეგზემპლარები ბარდაცემული ახსნა ჯვალა აღმოჩნდებოდა  
ზეთების რაქმების ქალაქის ხელის - მოაწვარებლისათვის დასარიგებამ  
ლა.

ამას ბაზლა ამ აღმოჩნდებოდა სის მიღება ფიქლებს თითი ქალა.  
მის გამომოსვან (უკაბაში) უკველ დღე, ბაზლა კვირა და უკვე  
დღეებისა, დღის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღვის 2 საათამდე.  
ამასთანავე ქალაქის გამომოსვან საჯიროდ რაქსს ანოზოს უკველს,  
რომ ვისაც ჰსუს, ამ აღმოჩნდებოდა სის უსახებ, თამის ფინიშნები  
ანუ უკველთაგან გამომოსვან უკველთაგან გამომოსვან დასარიგებელი.  
უკველთაგან გამომოსვან უკველთაგან გამომოსვან დასარიგებელი.

(3—3)

## თფილისის ქალაქის გამომოსვან

თფილისის ქალაქის გამომოსვან უკველს  
მეტრატორებსა და მენარჩებს  
(ხარზოვნიკებს), რომ ისინი ელდებულნი  
არიან ამ ოქტომბრისთვის განმავალ  
ობაში გამოცვალენ უკველში თან  
ანთი ვაჭრობის მოწმობა. ვინც ამ მო  
წმობას არ აიღებს ხსენებულ ვადამდე,  
იმათი ზავედენიები, „ტრატორები წეს  
დების“ მე-17, 18 და 58 მუხლების ძა  
ლით, დაკეტილი იქნება.

(3—3)

შ. შექთიძე ხელაძის სტამბაში  
იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა  
საქართველოს

### კალენდარი

ქართველთა და სომეხთა  
1879 წლისა  
ქართულის მოსოფლით  
35 წლისათვის  
შედგენილი ი. ლიძის მიერ  
და გამოცემული  
შექთიძე ხელაძისაგან

(3—2)

გამომიდა და ისუილება

### „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართვე  
ლოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებლად,  
გაღმორკეთებული მრ. რჩეულოვის რა  
მანიდგან „საქართველოს თამარ  
ბატონიშვილი“  
ქ. მესხისაგან.

ისუილება: თფილისში—ყველა წიგნის  
მალაზიებში,  
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ  
ლიოთეკაში.  
ფასი უმეღბან ექვსი რუბლი.  
16-ს აგვისტოდამ გაიხსნა  
ქ. ქუთაისში

## დოქტორი—აქურონი

### ნ. დ. გავროსკი

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს  
აეთამყოფებს ყოველ დღეს დილის 9  
საათიდან 11 საათამდე გარდა კვირა  
დღისა.

სახლი მისი: მანოვის ქუჩაზე, № 7.  
ქავერჩესკის ბანკის გვერდით.

(3—2)

გამომიდა ლიტოგრაფიადამ და ის  
სუილება მ. ჩარკვიანის წიგ  
ნის მალაზიებში

### ქართული სახალ სო სივლიერები

ნოტაგამ გარდაკეთებული  
მიხეილ მაჭავარიანისაგან  
და  
გამოცემული მ. ჩარკვიანისა.  
ფასი ერთი რუბლი

(3—3)

დაიბეჭდა და ისუილება მ. ჩარ  
კვიანის წიგნის მალაზიაში სახალი  
წიგნი:

### „სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილი“

რომანი  
ლავრენტი არდაზიანისა.  
გამოცემული  
ი. მელიქოვისა და მ. ჩარკვიანისა.  
ფასი 30 კაპიკი.

(3—3)

ისუილება პარტიითა და თითო კუ  
ლითაცა **თამბაქო**, მახორკა,  
ნაკლებ ფასათ.

ადრემსი: ბალერეი არწრუნისა, №  
146.  
ივანე ალხაზოვი.

რ. ბ.ზა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკა.	გაზანდა	მანკა.	თფილისის სამაქრანალო
თფილისი	9 21	5 18	3 33	3 33	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 12 ოქტემბ.		მრეველს მიედანზე, წ. ნამდღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	6 8	3 38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1	შვე. ფეთ. ბანჯისა, ფთ.	180	აეთამყოფებს მიიღბენ ყოველს
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, წუფეთს, სიდნალს . . . . .	50	შვეილი წითელი . . . . .	160	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი . . . . .	130	მ.რ შაბათს: მერმიშვილი და ბა რალევიჩი—შინაგ. ავთ., ქიუჩა რიანც—საჯარო ექიმი და საშვი ლოს რაქრაციები.
სურამი	1 44	4 42	2 46		პეტერბურს, პარაზიას . . . . .	2	ბაზა მრეველისა, ფუთი . . . . .	680	სამ შაბათს: მერმიშვილი—ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ქვერილი	5 49	5 81	3 23		მსხალეთში, შვეიცარიაში.	3	ბაპენტალი მ.ბა ფუთი . . . . .	760	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
რიონი	6 57	6 75	3 75		იტალიაში და ს.ფრანგეთში.	3 50	მატყული თუშური ფუთი . . . . .	860	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
სამტრედია	7 51	7 73	4 29		ინგლისში . . . . .	3 75	თარაქამისა ფუთი . . . . .	450	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ახალ-სენაკი	8 43	8 57	4 76		<b>ზოგბა</b>		აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ფოთი	9 50	9 75	5 42		ა) თფილისიდან: სამღვარ გა რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ხუდ. ორშ. და ხუთშ. ორშ.—პარასკ. და ორშ. პა ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი სიდან: თფილისისა და შოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ორშ. გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	630	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ფოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამსლვარ გარეთ:		ქონა ფუთი . . . . .	760	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14	1 18	6 66		ლია წიგნის . . . . .	4	ქონა სანთელი ფუთი . . . . .	760	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
სამტრედია	11 5	2 6	1 14		და ბატონის (ნამი მისხალი).	8	სტეარინის სანთელი, ფთ. . . . .	1260	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
რიონი	12 13	3 4	1 69				ხორცი მრონისა, ლიტ. . . . .	90	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ქვერილი	1 18	3 98	2 21				ცხვრისა, ლიტრა . . . . .	90	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			სპირტი ვედრო . . . . .	480	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	740	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
ბორი	7 5	4 87	3 64	9			ფხვნილი ფუთი . . . . .	620	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4			ქვეა გრგვალი, გირვ . . . . .	70	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—საბეზიო და ბაე შვის, პეტროვი—თვალის.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			თამბაქო, საშუალო ფთ. . . . .	660	მ.თხ შაბათი: მერმიშვილი ში ნაგ. პ. ბ. ხუთოვი—თვალისა.